N 6
01/05/2019

6-07-4-201905011022

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N6

ქ. ლანჩხუთი 25. 04. 2019 წელი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმერ ნანაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე ვერიკო კვირკველია, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გვარჯალაძე, ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველების“ თავმჯდომარე სპარტაკ კვაჭაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მწვანეები“-ს თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, საკრებულოს ფრაქცია ,,ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარე კახაბერ ასკურავა, საკრებულოს წევრები (სარეგისტრაციო ფურცელი თან ერთვის), საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე გიორგი ხელაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საორგანიზაციო განყოფილების უფროსი) ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში ია მოქია, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში მაია კუპატაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მერიის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი ლევან ჩხაიძე, მედიის წარმომადგენლები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** დამსწრე საზოგადოებას წინასწარ მიულოცა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული და მოუწოდა მათ დასწრებოდნენ მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების მიერ ტრადიციული ლელოს აღსანიშნავად მომზადებულ ღონისძიებებს.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი თ. ფირცხალაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლეთში სანაპირო ზოლის განვითარებასთან დაკავშირებით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ა. გიგინეიშვილი/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N93 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვირკველია/

4. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N97 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ვ. კვირკველია/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი გ. ნაჭყებია/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებების მიწოდების მიზნით 2019 წელს განსახორციელებელი საჯარო შენობების მშენებლობა/რეაბილიტაციის პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ლ. ჩხაიძე/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი რ. ლაშხია/

8. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი ა. სარიშვილი/
/თანამომხსენებელი რ. ლაშხია/

9. სხვადასხვა საკითხები.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ ვერიკო კვირკველიამ გააკეთა განცხადება, რომ საკუთარი განცხადების საფუძველზე საკრებულოს შემადგენლობა დატოვა თორნიკე ტიკაძემ.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 30 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა.** მისი თქმით, ზემოაღნიშნული დადგენილების სამართლებრივი ექსპერტიზის დროს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად, მიზანშეწონილია შემდეგი ცვლილებების განხორციელება:

1). დადგენილებით დამტკიცებული წესის მე 4- მუხლის „კ“ და „ო“ ქვეპუნქტებში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„კ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარების პროგრამა- განცხადება, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიში, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დასკვნა სახლის მდგომარეობის შესახებ, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ოჯახისათვის მინიჭებული სარეიტინგო ქულის ამონაწერი; სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა (ასლი) ან ცნობა; ბენეფიციარის საბანკო ანგარიში. გადაწყვეტილება მიიღება მერის იდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე კომისიის წინადადების გათვალისწინებით.“

„ო) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა-განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი(სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ბენეფიციარის საბანკო ანგარიში, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა ან დასკვნა. მარტოხელა მშობლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი. გადაწყვეტილება მიიღება მერის იდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე კომისიის წინადადების გათვალისწინებით.“

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 5. განცხადებების განხილვა

1. მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ განცხადებებს განიხილავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური და საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში სამსახურის მომზადებული ბრძანების პროექტის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) გაიცემა სოციალური დახმარებები.

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე 4- მუხლის „კ“ და „ო“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პროგრამებიდან დახმარებების გაცემის მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე იქმნება კომისია, რომლის შემადგენლობაში შედის: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი, მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსი; მერიის იურიდიული სამსახურის მთავარი სპეციალისტი; მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი; მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტი და საკრებულოდან მოწვევით -

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით და არის სარეკომენდაციო ხასიათის. კომისია უფლებამოსილია შეიკრიბოს თვეში ერთხელ მაინც. კომისიის ოქმის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით(ბრძანებით) გაიცემა სოციალური დახმარებები.“

3. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია წინამდებარე წესის პირველი მუხლის ,,კ“ და ,,ო“ ქვეპუნქტრბით გათვალისწინებული დახმარების გაცემა, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება სავალალო შედეგი გამოიწვიოს, დახმარება შიძლება გაიცეს სამსახურის დასკვნის გარეშეც, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით. უნდა დარჩეს იგივე რედაქციით ვინაიდან სამსახურის მიერ პარალელურ რეჟიმში დასკვნის მომზადება საჭიროებს ასევე დამატებით დროს რაც საბოლოოდ დროში გაიწელება და დახმარება დაკარგავს დაუყოვნებლობის ეფექტს, რამაც შეიძლება სავალალო შედეგიც გამოიწვიოს. ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის (საკრებულოს წევრის) შუამდგომლობაში აისახება გადაუდებლად დახმარების აუცილებლობა. შესაბამისად მართებულია დახმარება სამსახურის დასკვნის გარეშეც გაიცეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

საკრებულოს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა დადგენილება N 8 (25.04.2019)

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლეთში სანაპირო ზოლის განვითარებასთან დაკავშირებით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნისა და შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს წევრმა **ამირან გიგინეიშვილმა.** მან აღნიშნა, რომ გრიგოლეთის სანაპირო ზოლში ქვიშის მაგნიტური ანომალიის დადასტურების გამო განუზომლად გაიზარდა დასახლების სამკურნალო ტურიზმის პოტენციალი და რათა მიღწეული იქნეს ხალხის ჯამრთელობის რაც შეიძლება მაღალი დონე, მიზანშეწონილია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

1. ამირან გიგინეიშვილი-საკრებულოს წევრი, დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე.
2. გიორგი გვარჯალაძე-საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე, ჯგუფის წევრი.
3. გიორგი ჩახვაძე-საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე, ჯგუფის წევრი.
4. ალექსანდრე მახათაძე-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე, ჯგუფის წევრი.

5. ემზარ თევდორაძე-საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, ჯგუფის წევრი.
6. ვერიკო კვირკველია-საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე, ჯგუფის წევრი.
7. ბესიკ კუპრაძე-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარე, ჯგუფის წევრი.
8. კახა ბოლქვაძე-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს თავმჯდომარის მოადგილე, ჯგუფის წევრი.
9. ზურაბ კუკულავა-საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-მრეწველები"-ს თავმჯდომარის მოადგილე, ჯგუფის წევრი.
10. იოსებ ჩხაიძე-საკრებულოს ფრაქცია ,,ძალა ერთობაშია" თავმჯდომარის მოადგილე, ჯგუფის წევრი.

ამირან გიგინეიშვილმა სხდომის წევრებს ასევე განუმარტა, რომ დროებითი სამუშაო ჯგუფი შეიქმნება სამი თვის ვადით და წარუდგინა სათათბირო ხმის უფლების მქონე დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრები:

1. მაია აფხაზავა-მერიის ეკონომიკისა და ქონების სამსახურის ეკონომიკისა და ტურიზმის განყოფილების უფროსი.
2. შუქრი თავართქილაძე-პროფესორი.
3. მამუკა გვილავა-შავი ზღვის საერთაშორისო კომისიის სანაპიროს ინტეგრირებული მართვის წარმომადგენელი საქართველოში.

ამირან გიგინეიშვილმა აღნიშნა, რომ დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრები თავიანთ საქმიანობას განახორციელებენ უსასყიდლოდ და უფლებამოსილების ამოწურვის შემდეგ ისინი საკრებულოს წარუდგენენ ანგარიშს გაწეული სამუშაოს შესახებ და წინადადებებს სოფელ გრიგოლეთის სანაპირო ზოლის განვითარებასთან დაკავშირებით.

საკრებულოს წევრმა **კახა თედორაძემ** გამოთქვა მოსაზრება, რომ კარგი იქნებოდა თუ გრიგოლეთის სანაპირო ზოლს დაემატებოდა ყვავილნარის ტერიტორიაც.

ამირან გიგინეიშვილმა განმარტა, რომ ყვავილნარის ტერიტორიის მოწესრიგება შედის წყალწმინდის სტრატეგიული განვითარების გეგმაში.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.

მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N 22 (25.04.2019)

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N93 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **ვერიკო კვირკველიამ.** მან განმარტა, რომ ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N93 განკარგულებაში უნდა შევიდეს ცვლილება და ამოღებულ იქნას განკარგულების პირველ მუხლის „ბ“ პუნქტი (თორნიკე ტიკაძე - კომისიის წევრი).

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.

მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N 23 (25.04.2019)

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N97 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **ვერიკო კვირკველიამ.** მან განმარტა, რომ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის N97 განკარგულებაში უნდა შევიდეს ცვლილება და ამოღებულ იქნას განკარგულების პირველი მუხლის „ვ“ პუნქტი (თორნიკე ტიკაძე - კომისიის წევრი).

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 23 წევრი.
მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N 24 (25.04.2019)
საკრებულოს სხდომას შემოუერთდა საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-კონსერვატორები“-ს თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა“-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, უსასყიდლოდ გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ.** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, მიმდინარე წლის 26 მარტის N2215 განცხადებით მომმართა ა(ა)იპ ,,სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა“-ს (ს/კ 433642356) დირექტორმა ციცო ჩხარტიშვილმა, რომელმაც ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში, არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, მარჯანიშვილის ქ. N11-ში მდებარე 747 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განლაგებული 108, 68 კვ.მ შენობა-ნაგებობა (ს/კ 27.06.56.086)) უსასყიდლოდ სარგებლობის უფლებით გადაცემა. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 122-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო უფლებამოსილია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ზემოაღნიშნული უძრავი ქონება, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლოდ, არაუმეტეს ორი წლის ვადით სარგებლობის უფლებით გადასცეს ა(ა)იპ ,,სარეაბილიტაციო ცენტრი იავნანა“-ს, რომელიც ემსახურება 6-18 წლამდე ასაკის 24 ბენეფიციარს, ქუჩის რისკის მქონე ბავშვს და ხელს უწყობს, მათ სრულყოფილ პიროვნებებად ჩამოყალიბებას, ასევე ის ახორციელებს მისთვის წესდებით გათვალისწინებულ უფლებამოსილებას. აგრეთვე პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.

მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N25 (25.04.2019)

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებების მიწოდების მიზნით 2019 წელს განსახორციელებელი საჯარო შენობების მშენებლობა/რეაბილიტაციის პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ.** მან აღნიშნა, რომ „ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საქართველოს მთავრობის 2019 წლის 27 თებერვლის №120 დადგენილების შესაბამისად“ განსახილველად და მოსაწონებლად წარმოდგენილი აქვს 2019 წელს განსახორციელებელი პროექტების ნუსხა:
1.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აკეთში ამბულატორიის რეაბილიტაცია-20 000 ლარი.

2. .ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აცანაში ამბულატორიის რეაბილიტაცია-25 000 ლარი.
3. .ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიგოითში ამბულატორიის რეაბილიტაცია-25 000 ლარი.
4. .ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ შუხუთში ამბულატორიის რეაბილიტაცია-25 000 ლარი.
5. .ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ სუფსაში ამბულატორიის მშენებლობა 72 416 ლარი.

საკრებულოს წევრი **ელისო ჭიჭინაძე** დაინტერესდა, თუ ვის მიერ და რა კრიტერიუმებით შეირჩა ამ ნუსხაში მოყვანილი ამბულატორიები სარემონტოდ. იგი უკმაყოფილოა იმ ფაქტით, რომ ამ ნუსხაში არ მოხვდა ლესის ამბულატორიის შენობა, რომელიც უკიდურესად ავარიულ მდგომარეობაშია. ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ დააყენა მან ეს საკითხი საკრებულოს სხდომაზე და რადგან მუნიციპალიტეტის მერისგან მიიღო დაპირება, რომ ამ პრობლემას მოაგვარებდნენ, საკრებულოს წევრს აღნიშნული საკითხის სოფლის მხარდაჭერის პროგრამაში შეტანა აღარ მოუთხოვია. **ელისო ჭიჭინაძემ** მოუწოდა საკრებულოს წევრებს შექმნან სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეამოწმებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ამბულატორიებს და ამის შემდგომ, საჭიროების მიხედვით მიიღებს გადაწყვეტილებას.

მერიის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსმა **ლევან ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში იყო ჩამოსული საგანგებო სიტუაციების სამსახურის წარმომადგენლები, რომლებმაც დაათვალიერეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ამბულატორიები და თვითონ მიიღეს გადაწყვეტილება ამ ეტაპზე რომლის რეაბილიტაცია მომხდარიყო.

მუნიციპალიტეტის მერმა, **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ საკრებულოს სხდომაზე მართლაც იყო საუბარი ამ საკითხზე და დღემდე აგრძელებს თანამშრომლობას საგანგებო სიტუაციების სამსახურთან, მაგრამ ამ ეტაპზე მათ მიერ შეირჩა ზემოაღნიშნული ამბულატორიები. მისი თქმით, ეს პროექტი გრძელდება 2019-2020 წლებში და თანდათან მოხდება დარჩენილი ამბულატორიების აშენება-რეაბილიტაცია.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **ვერიკო კვირკველიამ,** საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ,** საკრებულოს წევრმა **ამირან გიგინეიშვილმა** გამოთქვეს უკმაყოფილება, რომ ამ საკითხის გადაწყვეტაში არ მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები.

საკრებულოს წევრები შეთანხმდნენ, რომ მიდგომა აღნიშნულ საკითხთან მიმართებაში არასწორია, მაგრამ ამ ეტაპზე წარმოდგენილ პროექტს უნდა დაუჭირონ მხარი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.

მომხრე საკრებულოს 23 წევრი, წინააღმდეგი საკრებულოს 1 წევრი(ამირან გიგინეიშვილი).
მიღებულ იქნა განკარგულება N 26 (25.04.2019)

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის N61 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 05 აპრილის N773 განკარგულებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 110000 ლარი ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის შედეგად დაზიანებული ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაციისათვის.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 05 აპრილის N789 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს გამოეყო 499402 ლარი, თანადაფინანსება შეადგენს 37591 ლარს. სულ პროექტების ღირებულება შეადგენს 536993 ლარს, რომელიც მიიმართება ქალაქ ლანჩხუთში ქუჩების რკინა ბეტონის სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოების დასაფინანსებლად.

მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის მიმდინარე წლის 16 აპრილის N633 წერილის მომართვის საფუძველზე მიზანშეწონილად ჩაითვალა გაიზარდოს განათლების ღონისძიებების (პროგრამული კოდი 0403) ხარჯი 1600 ლარით.

ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსების 37291 ლარი და განათლების ღონისძიებების 1600 ლარით დაფინანსება განხორციელდეს წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფის მუხლის 38891 ლარით შემცირების ხარჯზე.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 24 წევრი.

მომხრე საკრებულოს 24 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N27 (25.04.2019)

საკრებულოს სხდომას შემოუერთდა საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე,

დღის წესრიგის მერვე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 27 დეკემბრის N54 დადგენილებით 2018 წლის ბიუჯეტი განისაზღვრა 8757600 ლარით, საფინანსო წლის განმავლობაში დამტკიცებულ ბიუჯეტში განხორციელდა ათი ცვლილება და დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 20250615 ლარი. მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შემოსულობებმა 16984817 ლარი შეადგინა, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 252207 ლარით აღემატება. წინა წელთან შედარებით (101,5%-ით), აქედან გრანტის სახით მიღებულია 13337218 ლარი, მათ შორის გათანაბრებითი ტრანსფერი 6238600 ლარი, წინა წელთან შედარებით 884400 ლარით მეტი, მიზნობრივი ტრანსფერი 220000 ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები 4515103 ლარი, მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურაზე სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსებაზე 2262310 ლარი, ასევე სტიქიის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე საფინანსო წლის განმავლობაში მიმართულია, 2017 წელში ამ დანიშნულებით ჩამორიცხული 1259104 ლარი. საფინანსო წელში შემოსავლების (კაპიტალურის ჩათვლით) სახით მიღებულია 3647598 ლარი, რაც 2017 წლის შესაბამის მაჩვენებელს აღემატება 1078064 ლარით. საშემოსავლო გადასახადის სახით მიღებულია 443789 ლარი, რაც გეგმის 98,6%-ს შეადგენს, ქონების გადასახადის ფაქტიურმა შემოსავლებმა 1993754 ლარი შეადგინა, გეგმა შესრულებულია 122,5 %-ით, მათ შორის საქართველოს საწარმოთა ქონების გადასახადი (გარდა მიწისა) 438961 ლარი, უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) 858324 ლარი შეადგინა, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი შემოსულია 174779 ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე 502679 ლარი, სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 1021622 ლარი, გეგმის შემოსავლები შეადგენს 116,6 %-ს, აქედან მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 135843 ლარი, შემოსავალი მიწის იჯარიდან 14087 ლარი, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის შემოსულია 9063 ლარი, რაც რეალობას არ ასახავს, ამ კუთხით მთელი რიგი ღონისძიებებია გასატარებელი, კერძოდ პირველ რიგში შესწავლილი უნდა იქნეს თუ რა ფაქტორები უშლის ხელს მოსაკრებლის ბიუჯეტში სრულად შეტანას. ჯარიმები, სანქციები და საურავები მიღებულია 767111 ლარი, არაფინანსური აქტივების კლების შემოსავალმა 188434 ლარი შეადგინა, საფინანსო წელში განხილული იქნა 18573435 ლარის ხარჯი, აქედან მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე მიიმართა 9841879 ლარი გაწეული ხარჯების 53,0 %-ია, სუბსიდირებისათვის (ა.ა.ი.პ-ბის და შპს-ეების) სახით ჩაირიცხა 5580733 ლარი ხარჯების 30,0 %-ი, შრომის ანაზღაურებაზე მიმართულია 1718416 ლარი, მიმდინარე ხარჯების 19,7 %-ი, შტატგარეშე მუშაკების შრომის ანაზღაურებაზე 150763 ალრი 1,7 %-ი, მივლინების ხარჯებზე 11051 ალრი, ოფისის ხარჯებზე მიიმართა 201825 ლარი ხარჯების 2,3 %-ი, ტრანსპორტის მოვლა შენახვის და ექსპლოატაციის ხარჯებზე 152163 ლარი შეადგინა, ხარჯების 1,7 %-ი, სოციალური პროგრამების დაფინანსებაზე მიიმართა 485489 ლარი, მიმდინარე ხარჯების 5,6 %-ი. 53650 ლარი ჩარიცხულია მუნიციპალური განვითარების ფონდის ნაგავმზიდებისა ურნების შეძენაზე აღებული კრედიტის სარგებლის პროცენტი.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსნდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ თუ მერიის სამახურების მუშაობა დადებითად არის შეფასებული, მაშინ ამის მიხედვით, ლოგიკურია თანამშრომლების ერთჯერადად წახალისებაც.

საკრებულოს ფრაქცია ,,ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარე **კახაბერ ასკურავა** დაინტერესდა, 2018 წლის ბოლოს არსებული ნაშთი-800 000 ლარი, ხომ არ არის არასწორი მენეჯმენტის ბრალი. მისი თქმით, ისეთ მუნიციპალიტეტს, როგორიც ლანჩხუთია წლის ბოლოს არ უნდა მორჩეს თანხა.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** განმარტა, რომ ამ ნაშთიდან თანხები წინასწარ იყო მიმართული საჭიროებისამებრ და რომ არა ეს ნაშთი, ვერ დაბალანსდებოდა ბიუჯეტი.

საკრებულოს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 25 წევრი.
მომხრე საკრებულოს 25 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.
მიღებულ იქნა განკარგულება N 28 (25.04.2019)

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს წევრმა **აკაკი იმნაიშვილმა** აღნიშნა, რომ სოფელ შუხუთში საჭიროა ნაგვის ურნების დამატება.

საკრებულოს წევრმა **კარლო კვიტაიშვილმა** აღნიშნა, რომ ავარიულ მდგომარეობაშია დუმბაძის ქუჩაზე გზის საფარი და ცხაურები.

საკრებულოს წევრმა **კახა თედორაძემ** ითხოვა დახმარება ოზურგეთისა და ლანჩუთის მუნიციპალიტეტებს შორის საზღვრების მოწესრიგებასთან დაკავშირებით, რადგან ამ პრობლემის მოუწესრიგებლობის გამო, ყვავილნარის მოსახლეობას არ აქვს ზღვაზე შესასვლელი გზა. ის ასევე უკმაყოფილოა იმ ფაქტით, რომ სანაპირო ზოლში და ასევე მიმდებარე ტერიტორიებიდან, არ ხდება ნარჩენების დროულად და სრულფასოვნად გატანა, რის გამოც მდინარე სუფსა გადაქცეულია ნაგავსაყრელად. საკრებულოს წევრი ასევე უკმაყოფილოა სოფელ ღრმაღელის გაზიფიცირების საკითხითაც.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **ვერიკო კვირკველია,** დაინტერესდა, როდის იგეგმება ლანჩხუთის პირველი საჯარო სკოლის შიდა ეზოს მოწესრიგება.

საკრებულოს ფრაქცია ,,ძალა ერთობაშია“ თავმჯდომარე **კახაბერ ასკურავა** დაინტერესდა, რატომ არ არის მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ პასუხები გაცემული იოსებ ჩხაიძის წერილებზე.

საკრებულოს წევრი **ელისო ჭიჭინაძე** დაინტერესდა, დამატებით რა ღონისძიებების გატარება შეიძლება ლესაში გზის იმ მონაკვეთზე, რომლის რეაბილიტაციას შარშან 98 000 ლარი დასჭირდა, ხოლო წელს მეწყერმა ისევ დააზიანა. ის ასევე უკმაყოფილოა იმ ფაქტით, რომ ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში სოციალურად დაუცველი ოჯახი, რომელსაც საცხოვრებელი სახლი გადასცეს, ვერ იკანონებს ამ ქონებას.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ის იცნობს ამ პრობლემას და ყველა ღონეს იხმარს მის მოსაგვარებლად. იგი ასევე გამოეხმაურა დუმბაძის ქუჩის საკითხს და აღნიშნა, რომ მსგავსი პრობლემები მძიმეწონიანი ავტომობილების გადაადგილების გამო ქალაქის თითქმის ყველა ქუჩაზე არის. მისი თქმით, მერიის ზედამხედველობის სამსახური პოლიციასთან ერთად ჩართულია ამ საკითხის მოგვარებაში. კერძოდ ამ ავტომობილების საპარკინგოდ აპირებენ ერთი კონკრეტული ადგილის გამოყოფას.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** უპასუხა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის ვერიკო კვირკველიას შეკითხვას და აღნიშნა, რომ ქალაქის პირველი საჯარო სკოლის შიდა ეზოს მოსაწესრიგებლად პროექტი უკვე მომზადებულია, მოძიებულია სახსრებიც და სამუშაოები დაიწყება საზაფხულო არდადეგების დროს, რათა ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესს. მან ასევე აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში გაზიფიცირებასთან დაკავშირებით მუშაობს სხვადასხვა ჯგუფები. ერთ-ერთი ჯგუფი ახლა იწყებს მუშაობას მამათის ადმინისტრაციულ ერთეულში და იგივე ჯგუფი იმუშავებს ღრმაღელის ადმინისტრაციულ ერთეულშიც, ხოლო რაც შეეხება ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებს შორის საზღვრის დადგენას, უმჯობესი იქნება შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც დეტალურად შეისწავლის აღნიშნულ საკითხს და დასახავს პრობლემის გადაჭრის მეთოდებს.

ამით საკრებულოს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო